პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა 4 იანვარი
№ 3 (17945)
ფასი 2 კაპ.

ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს! და ორგზის უფრო ამაყად — მშრომელი ადამიანი!

● ნოვატორი ე. სამხარაძე მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს
● ახალი რძის კომბინატი თბილისში
● მექანიზატორმა დ. ალანიამ თავი გამოიჩინა სოციალისტურ შეჯიბრებაში

ყველას აზრით, ერთად მოთათბირებით

ეთოთხე დღეა, რაც დაგვემშვიდობა ნამდვილად ხვავ-ბარაქიანი, მაღალიანი და კეთილი წელიწადი, ხოლო ახალმა — ათას ცხრაას ოთხმოცდაერთმა, თავისი სათვალავი დაიწყო... მეთერთმეტე ხუთწლედის ამ პირველ წელს კიდევ უფრო მეტი იმედებით შეჰყურებს თითოეული ჩვენგანი.

და სწორედ ახლა, ახალი წლის ამ გარიჟრაჟზე, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, საბჭოთა საქართველოც მშობლიური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის მოლოდინით ცხოვრობს, ყრილობისა, რომელმაც ქვეყნის აღმშენებლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების გაბედული და მასშტაბური გეგმები უნდა დასახოს. ეს შესანიშნავად ჩანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტში — ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

ხელ მალე კი, 22 იანვარს, გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის მთელი აქტიური საქმიანობა ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო მზადების შემადგენელი ნაწილია.

ამას წინათ თბილისის საკალაკო და აფაზეთის საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დამთავრებას მისცეს ნაბიჯი. და, როგორც თბილისის პარტიულ კონფერენციაზე, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, ამ ანგარიშგება-არჩევნების დროს კრიტიკულად გაანალიზდა პარტიული კომიტეტების საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. სწორედ ხალი, ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებამ კრებებსა და კონფერენციებზე შექმნა მაღალი მომთხოვნელობისა და ორმხრივი მომკითხველობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება. ამის დადასტურებაა კომუნისტთა მიერ გამოთქმული ასი ათასზე მეტი შენიშვნა, წინადადება და რეკომენდაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველა ამ მახალას გულდასმით სწავლობს, რათა განზოგადებული სახით ყრილობას წარუდგინოს და მისი გათვალისწინებით პრაქტიკული ღონისძიებებიც დაისახოს.

მაგრამ კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასების აზრის გათვალისწინებას კამპანიური ხასიათი როდი აქვს. აი, უკვე რვა წელზე მეტია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავი ს საქმიანობაში მტკიცედ დაამკვიდრა ხალხთან მოთათბირების კეთილი ტრადიცია. ამის დასტურია ყველა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავება-მიღება მშრომელთა ფართო მასების შენიშვნების, წინადადებებისა და ხურვილების გათვალისწინებით. ამის ნათელი გამოხატულებაა გასული წლის 28 ნოემბერს პრესაში გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიც, რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელსადმი საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით.

წერილის პასუხად ათასობით კომუნისტი, ასეათასობით მშრომელი ჩაება ყრილობისწინა დიდ ბჭობასა და პრობლემების საქმიან განხილა-განხილვაში. რესპუბლიკის მშრომელთა აზრებსა და განწყობილებას შესანიშნავად გამოხატავს ამ დღეებში ჩხოროწყუს რაიონიდან მიღებული წერილი, რომლის ავტორია ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ნათელა ხიბინავა:

„საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობა დიდი მოვლენა იქნება თითოეული კომუნისტისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის. მის შესახვედრად ლენინელებიც ამბობენ თავიანთი ალალ სიტყვას, და ვფიქრობთ, რომ ნაკლარ ვალდებულებებს გულგასახარი პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცებთ.

...დღეს ცენტრალური კომიტეტი კვლავ გვეთათბირება, აზრსა და რჩევას გვეკითხება. რაოდენი დაფასებაა! წერილი განმაჯვალულია ისევ ჩვენდამი ყურადღებითა და იმაზე ზრუნვით, რომ ჯეშმარიტად ხალხის კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობის პროგრამა დაისახოს...“

— მიღწევები დიდი და თვალსაჩინოა, მაგრამ როდი გვაკმაყოფილებს! — ეს არის ძირითადი შინაარსი, თავკარი ლიტმტოვი წერილების იმ ნაკადისა, რომლებსაც ამ დღეებში გაზეთი „კომუნისტი“ იღებს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა — სამ კვირაზე ნაკლები. ახლა უმთავრესი და საშუალი ღრმად ჩავიხედოთ საქმეში და დაუყოვნებლივ გამოვთქვათ ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებით ყოველმხრივ აწონილ-გაზომილი შენიშვნა და წინადადება.

ცხადია, რომ დღეს, როცა ეს-ეს არის დაიბადა და ფეხს იდგამს მეთერთმეტე ხუთწლედი, საქართველოს კომუნისტთა, ყველა მშრომელის საფიქრალ-საზრუნავია სწორედ ამ ხუთწლედის მასშტაბური ბიგმები და ამოცანები. თავდათავი გასაკეთებელი ხომ ახლა ის არის, მნიშვნელოვნად გაიზარდოს რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, გაუმჯობესდეს ხალხის კეთილდღეობა იმ საფუძველზე, რომ უზრუნველყოთ საზოგადებრივი წარმოების შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარება, სრულყოფა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, განვაახლოთ და განვამტკიცოთ მისი მატერიალური ბაზა.

როგორ, რა გზებით, რა ღონისძიებებით განვახორციელოთ უფრო სწრაფად და კონკრეტულად ყოველივე ეს? პოლიტიკური და ორგანიზაციურ-ორგანული მუშაობის რა ფორმები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ ძველი არსენალიდან და რა უნდა უკუვაგდოთ? რომელი ხალხი, ინიციატივა, თაოსნობა მოგვცემს უფრო მეტ შედეგს?

როგორც პარტიულ ორგანიზაციათა ახლანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ დაადასტურა, მშრომელები ყველაზე მეტად ემდურებიან საგაკრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კომუნალურ და კულტურულ მომსახურებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მშრომელებისაგან, ყველა კომუნისტისაგან მოელის ამ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების კიდევ უფრო კონსტრუქციულ წინადადებებს.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ყველგან, ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის დამყარება ყველა ჩვენი შთანაფიქრისა და დასახულის წარმატებით განხორციელების საწინდარია. ამიტომ კიდევ უფრო შეუპოვრად,პრინციპულად და ეფექტიანი საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას, პარტიული, სახელმწიფო, შრომის, ფინანსური და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის ყოველ გამოვლინებას.

დღეს, როცა უკვე განვლილი ხუთწლედის შექმნილ-გაკეთებულს ვაჯამებთ და აშკარად ვხედავთ ყველა დარგში, ყველა უბანზე დიდი ბარჯის, რუდუნების ხვავსა და ბარაქას, განსაკუთრებით გვახარებს, რომ ყოველივე ეს და ათასი სხვა სახიკეთო ფერისცვალება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის სტილის სრულყოფის, მისი ახალი ფორმებითა და მეთოდებით დაუსრულებელი გამდიდრების პროცესების უშუალო შედეგია. ახლა, ამ ყრილობისწინა დღეებში, განსაკუთრებით საჭიროა განვაზოგადოთ ეს გამოცდილება. ყველგან გავავრცელოთ და შემოქმედებითად დავნერგოთ, რადგან სწორედ სისხლსავსე პარტიული ცხოვრება განაპირობებს კვლავაც საბჭოთა საქართველოს შემდგომ უფრო სწრაფ წინმსვლელობას.

აი, რატომ მიმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დღეს თითოეულ კომუნისტს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომ არ დაიკარგოს ამ გამოცდილების არც ერთი მარცვალი და ყოველივე სახარგებლო მეთერთმეტე ხუთწლედის სამსახურში ჩადგეს.

შრომის სწრაფი ტემპი — ამთავითვე, ვეძებნოთ და ვეძებნოთ დამატებითი რეზერვები, მოვიფიქროთ მუშაობის სხვადასხვა უბანზე ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღკვეთის უსწრაფესი და ქმედითი ღონისძიებანი, გავაძლიეროთ მინდობილი საქმისათვის ყველა მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა, ფართო გზა მივცეთ ადამიანთა შემოქმედებასა და ინიციატივას! — აი, რა ფიქრთ, რა განწყობილებით, რა პრაქტიკული საქმეებით უნდა ვემზადოთ რესპუბლიკის კომუნისტთა მოახლოებული ფორუმისათვის.

რესპუბლიკის მშრომელებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოთათბირებით, ყველას ძალ-ღონის დაძაბვით, ყველას აქტიურობითა და ნათელი აზრით გავამდიდროთ მომავალი ერთობლივი მუშაობის საპატიო პროგრამა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა მიიღებს და დაამტკიცებს.

პირველი ზეგეგმითი

ხალისიან შრომას შეუდგა ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი დღიდანვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მილოცვით აღფრთოვანებულნი მეტალურგები ამთავითვე მუშაობას სწრაფი ტემპით შეუდგნენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ კომუნისტური პარტიის მომავალ დიდ ფორუმს.

ახალი წლის პირველი დღეების შრომითი კალენდარი საუკეთესო მაჩვენებლებით აღნიშნეს მარტენის, ბრძმედის, საადგლომერაციო, კოქს-ქიმიური და მილსაგლინავი საამქროების კოლექტივებმა.

პირველ იანვარს სკკკ XXVI ყრილობისწინა, მეთერთმეტე ხუთწლედის შრომითს ვახტზე სრულწონიანი და ჩქაროსნული ნადნობები გამოუშვეს მეშვიდე და მერვე ღუმელების მეფოლადეებმა, კომუნისტებმა თენგიზ ხმალაძემ და გიორგი მუმლაძემ. ამ დღეს მოლიანად რუსთაველმა მეტალურგებმა ვეგმის გადამეტებით გამოადნეს 300 ტონა თუჯი, 60 ტონა ფოლადი, ხოლო დგანს „400“-ზე 194 დიამეტრის 1137 ტონა მილი გაგლინეს.

— ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის საახალწლო გულთბილმა მილოცვამ, — განაცხადა თ. ხმალაძემ — დიდად აღგვაფრთოვანა ქართველი მეტალურგები. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა საქმით ვუპასუხოთ მის მიერ გამოთქმულ სურვილებს. ახალი წლის პირველი დღიდანვე ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სკკკ XXVI ყრილობის დღისათვის გეგმის გადაჭარბებით სამშობლოს მივცეთ 200 ტონა კოქსი, 800 ტონა აგლომერატი, 300 ტონა თუჯი, ამდენივე ფოლადი, 300 ტონა მზა ნაგლინი და 200 ტონა მილები.

ჩვენ კვლავ ვიშრომებთ დევიზით — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“, რაც ხელს შეგვიწყობს მომავალი ათწლეულის სახელმწიფო დავალებების უთუო შესრულებაში. („კომუნისტის“ კორ.).

ახალი ენერგიით

ახალი წელი დადგა, გული ახალმა სიხარულმა მოიცვა. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის საახალწლო მოლოცვით აღფრთოვანებული საახალ ვართ. ჩვენმა ქვეყანამ, საქართველომ და უშუალოდ ჩვენმა კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა როგორც ხუთწლედის, ისე შარშანდელი წლის დავალებები.

ჩვენი კოლმეურნეობა, რომლის სავარგულები შირაქის ველზეა გაშლილი, ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობაა და, რაც უფრო ძლიერნი ვართ, მით უფრო მეტის გაკეთება და მეტი შრომა გვმართებს, რადგან კარგად ვიცით, რომ ამქვეყნად ყოველგვარი სიკეთე შრომით და მხოლოდ შრომით იქმნება.

აი, დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი და ჩვენც უკვე შევუდექით შრომას ახალ დავალებათა მესისრულებლად. ტრაქტორების შეკეთება დავამთავრეთ, ვარემონტებთ კომბაინებს, გაზაფხულს მომზადებული შევხვდებით. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ახალ პროექტში ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების პროგრამას გვისახავს და ყოველი საბჭოთა ადამიანის საპატიო ვალია პირველივე დღეებიდან ისე ვიშრომოთ, რომ წლის ბოლოს არ გვჭირდებოდეს ფაცი-ფუცი და ნერვიულობა.

ახალ წელს ახალი შემართებით შრომა უხდება. თანამოსაქმენო, მოგვიწოდებთ, რომ პირველი დღეებიდანვე ენერგიულად ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ნ. მელიქიშვილი,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზაატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

წარმატებით დაიწყეს

გადაიფურცლა 1981 წლის პირველი დღის კალენდარი. თბილისის № 1 პურის ქარხნის კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი დღეები ახალი შრომითი ენთუზიაზმით დაიწყო. მან პირველ იანვარს ოცი ტონა პური მიაწოდა მომხმარებელს. გამოცხვა სამი ასორტიმენტის: უმაღლესი ხარისხის სარატოვული „კალაჩი“, პირველი ხარისხის ძირისა და „კრასნოსელსკის“ პურები.

სადღესასწაულო დღეებში პურზე მომხმარებელთა განსაკუთრებულ მოთხოვნილებას საწარმოს კოლექტივმა კარგად გაართვა თავი. იმისათვის, რომ ახალ წელს ხარისხიანი პური მიეღო მოსახლეობას და არ დარღვეულიყო პურის ცხობის ტექნოლოგიური პროცესები, გულმოდგინედ იშრომეს ტექნოლოგმა ლ. უჩანეიშვილმა, ცვლის უფროსმა ზ. კამლაძემ და დისპეტჩერმა ე. გელაშვილმა.

ამ დღეებში საყრილობო შრომითს ვახტზე დგანან ხაბაზები ლ. მეტრეველი, ა. გველესიანი და კ. ელერდაშვილი. მათ დღიური ნორმა გადაჭარბებით შესრულეს და წარმატებით დაიწყეს ახალი ხუთწლედი. (ხაკ. კორ.).

შრომამ ასახელა

თბილისის საიარაღო ქარხნის კოლექტივის მუშა-მოხამხახურეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ორი თვის გეგმა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, ხოლო სამი თვის დავალება სკკკ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ასობით ხარატი, ზეინკალი, გამმართველი და სხვა პროფესიის მუშა დაწინაურდა. ერთ-ერთი მათგანია ხალარავი საამქროს ამლესავი ე. სამხარაძე. მან პირადი ხუთწლეული გეგმა ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბრის დასაწყისში შეასრულა და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. დღიურ სამუშაო ნორმას ნოვატორი 180-185 პროცენტით ასრულებს და ამზადებს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

თბილისის მოკმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანების „თბილსრძის“ ახალი რძის კომბინატი.

კომბინატის მშენებლობის სამუშაოები შეასრულა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მესამე სამშენებლო ტრესტის მერვე სამშენებლო სამმართველომ. ძირითადი საწარმოო კორპუსის მარგი ფართობი 9.800 კვადრატული მეტრია. მის ვრცელ და ნათელ დარბაზებში განლაგდა უახლესი — მიმდინი, საკამარატო, მაწვნის დედის მოსამზადებელი, ჩამოსასხმელი, პროდუქციის შესანახი სამაცივრო კამერა, დიეტური პროდუქტების, ტარის მიმღები თერმოკამერები.

ცვლაში კომბინატი გამოუშვებს 150 ტონა სხვადასხვა რძის პროდუქციას.

სურათებზე: შემდეგებელი ოსტატი, კომკავშირელი ნანა ფოფხაძე, რომელიც კომბინატის პროდუქციის საცდელ გამოშვებაში მონაწილეობდა; ახალი რძის კომბინატის ძირითადი საწარმოო კორპუსი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

„საქკომსოფლტექნიკის“ ხობის სარაიონთაშორისო გაერთიანების მექანიზატორ დემურ ალანიასთვის ამ ხაწარმოში მუშაობის მეთერთმეტე შრომითი წელი დაიწყო. იგი წლების განმავლობაში მოწინავეა და ყოველდღიურ სამუშაო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. შარშან მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კარგ შედეგსაც მიაღწია.

ს ხ ვ ი ნ ი ს ფ ო ტ ო.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲘᲗ

ᲐᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ — ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ!

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲬᲧᲔᲠᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲘᲡ ᲠᲝᲜᲐᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲔᲪᲮᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲪᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲪᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲛᲔᲪᲮᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲪᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲪᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ თუმცა გაწეულია გარკვეული მუშაობა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ აფასებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცხენეობის როლსა და მნიშვნელობას. უსაფუძვლოდ გაუქმდა ყველა ცხენსასაქონლო და ჯიმთსახამენე ფერმები მასობრივი გავრცელების კერებში) ბიოლოგიური საშუალებებით ბრძოლი ღონისძიებას ავიაციის გამოყენებით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი ჰექტარისა 5 ათას ჰექტარზე განახორციელებენ.

გაუფუჭობესებენ ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ ტყის ხანძრის კერების დროულად აღმოჩენას და ოპერატიულად ლიკვიდაციას, განახორციელებენ ტყის ხანძრის წარმოშობის და გავრცელების თავიდან აცილების გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

სრულფასოვანი ტყის კორომების მომრავლებისათვის, მისი პროდუქტიულობის გადიდებისა და მდგმარეობის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკურად მწიფე მერქნის აღზრდის პერიოდის შემცირებისათვის დროულად და ხარისხიანად შეასრულებენ ტყის მოვლით ჭრებს, უზრუნველყოფენ მერქნის რაციონალურად გამოყენებას და დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას. ტყის მოვლითი ჭრებით გეგმის ზევით დაამზადებენ 2.000 კუბმეტრ მერქანს.

გეგმით გათვალისწინებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით უზრუნველყოფენ მაღალხარისხოვანი სახალხო მოთხოვნილების საგნების და საწარმოო დანიშნულების საქონლის წარმოებას, აამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას, გაუმჯობესებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს და გეგმის გადამეტებით აწარმოებენ 150 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციას.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების, მექანიზაციის ფართოდ გამოყენების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით გაიზრდება.

მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებით, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვით გეგმიურ ზარალს 60 ათასი მანეთით შეამცირებენ.

ტრაქტორების გამოყენების კოეფიციენტს მიღწეულთან შედარებით გაზრდიან არა ნაკლები 2 პროცენტით და დადგენილ ნორმასთან შედარებით საწვავის ხარჯვას 3 პროცენტით შეამცირებენ.

კაპიტალური მშენებლობის წლიურ გეგმას შეასრულებენ 28 დეკემბრისათვის. გა

კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების საფუძველი

ზ. ა. ჩხეიძე,
საქართველოს კომკავშირის
ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ბევრი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ლენინური პარტიის მომავალმა ფორუმმა უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლეულში, ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს ჩვენი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიიდან. ეს სტრატეგია კი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას გულისხმობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში საფუძვლიანად გააანალიზა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ვითარება, მეათე ხუთწლეულის შედეგები, მეთერთმეტე ხუთწლეულის პირველი წლის გეგმა და დასახა ის ამოცანები, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას ყრილობისათვის მზადების პერიოდში. ეს ამოცანები განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXVI ყრილობისათვის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

ცხადია, ეს ამოცანები წინანდელზე უფრო რთულია, მაგრამ რეალურია და მათი გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. ამის საფუძველი კი გახლავთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი ქვეყნის მძლავრი ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი, მეცნიერება და კულტურა.

ჩვენმა ქვეყანამ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ისეთ დონეს და მასშტაბს მიაღწია, ისე დიდად გაიზარდა მომწიფებული სოციალიზმის შესაძლებლობები და რესურსები, რომ მას უნარი შესწევს წარმატებით გადაწყვიტოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანა, მიაღწიოს ახალ წარმატებებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიკურ შეჯიბრებაში და ამავე დროს უზრუნველყოს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე, როცა სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიდი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით“.

სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მიზანი — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. ეკონომიკური სტრატეგია შეიცავს ამ მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრასაც.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძი, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც მეათე და მეთერთმეტე ხუთწლეულებისა, ისე საბჭოთა მეურნეობის განვითარების ხანგრძლივ პერსპექტივას, ის არის, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, გავაფართოოთ და ძირეულად განვაახლოთ ძირითადი საწარმოო ფონდები, უზრუნველყოთ მძიმე მრეწველობის — ეკონომიკის საძირკვლის შეწონასწორებული ზრდა. ამრიგად, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მიერ დასმული ამოცანის გადაწყვეტა უპირველესად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ გაძლიერებასა და სრულყოფას ეფუძნება.

საბჭოთა კავშირს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი აქვს. მისმა ეროვნულმა სიმდიდრემ 2,5 ტრილიონ მანეთს გადააჭარბა (მიწებისა და ტყეების ღირებულების ჩაუთვლელად). ამ სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი ელემენტია სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები, რომელთა ღირებულება 1638 მილიარდ მანეთს აღწევს, აქედან საწარმოო ძირითადი ფონდების ღირებულებამ 1076 მილიარდი მანეთი შეადგინა.

სსრ კავშირის ეკონომიკური ძლიერების ორგანული შემადგენელი ნაწილია ყველა მოკმე რესპუბლიკისა და მათ შორის საქართველოს სსრ ეკონომიკური პოტენციალი. ჩვენი რესპუბლიკის წილად სსრ კავშირის ტერიტორიის 0,3 პროცენტი, მოსახლეობის — 1,91 პროცენტი და სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების 1,45 პროცენტი მოდის.

ეკონომიკური პოტენციალის უპირველესი ელემენტია შრომითი რესურსები, კადრების პროფესიული მომზადების დონე, მათი გამოყენების ეფექტიანობა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი“. რაც უფრო მაღალია მთელ მოსახლეობაში მისი შრომისუნარიანი ნაწილის ხვედრითი წილი, მით უფრო დიდია სახალხო მეურნეობის სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობა და, მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 2 მილიონს მიაღწია. თითქმის ყოველ მეხუთეს აქედან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს. ახლა ჩვენში ყოველწლიურად 270 ათასამდე მუშა-მოსამსახურე იმაღლებს კვალიფიკაციას.

ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში წამყვანია მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი, ქვეყნის ძლიერების ბაზა, რომლის განვითარების დონესა და მასშტაბზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკის ზრდა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

მრეწველობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვანი დარგია. მის წილად ეროვნული შემოსავლის 2/5-ზე მეტი მოდის. 1979 წელს რესპუბლიკაში აწარმოეს 8157,8 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია. დამოუკიდებელ ბალანსზეა 1103 საწარმო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება და კომბინატი, აქედან 122 საწარმოსა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წილად მოდის ოფიციალურად აღიარებული პროდუქციის 2/5-ზე მეტი.

საქართველოს სსრ ეკონომიკურ ძლიერებას განსაზღვრავს აგრეთვე მისი მრავალდარგოვანი, მაღალინტენსიური კოლექტიური სოფლის მეურნეობა. 690 კოლმეურნეობა, 471 საბჭოთა მეურნეობა, 739 ათასი ჰექტარი ნთესი ფართობი, 378 ათასი ჰექტარი მრავალწლოვანი ნარგავები, 4,5 მილიონ სულზე მეტი პირუტყვი, 25 ათასამდე ტრაქტორი, 1700-ზე მეტი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 24 ათასი სატვირთო ავტომობილი, დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აი ზოგადად ამ დარგის საწარმოო პოტენციალი. საქართველოს სოფლის მეურნეობამ შარშან 2,2 მილიარდი მანეთის მთლიანი პროდუქცია აწარმოვა.

ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ნაწილია სამშენებლო ორგანიზაციები, მათი საწარმოო სიმძლავრეები. სწორედ კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური მშენებლობის შედეგად იქმნებოდა და იზრდებოდა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, მთლიანად 1921-1979 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 26,5 მილიარდი მანეთი დაბანდდა. ომისშემდგომ პერიოდში მწყობრში ჩადგა 25 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები. მარტო 1951-1978 წლებში აიგო 422 მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, ბევრი ახალი საამქრო, მეცხოველეობის კომპლექსი, ფერმა, გზა, საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო და სხვა. მშენებლობაზე ახლა ათასობით კაცია დასაქმებული. მშენებლობის ტექნიკურ ბაზას 2100-მდე ექსკავატორი, 140 სკრეპერი, 1457 ბულდოზერი, 2800-მდე მოძრავი ამწე და სხვა მრავალი საშუალებანი შეადგენს.

საქართველოს სსრ სატრანსპორტო სისტემა 1420 კილომეტრი სიგრძის მთლიანად ელექტრიფიცირებული რკინიგზის ხაზების, 22 ათასი კილომეტრი საავტომობილო გზების (მათ შორის 18,8 ათას კილომეტრზე მეტი მაგარი საფარით), განვითარებული საზღვაო, საჰაერო, საბაგირო და მილსადენი სატრანსპორტო საშუალებებისაგან შედგება.

თანამედროვე პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესში მეცნიერება სულ უფრო მეტად ხდება უშუალო საწარმოო ძალა, ეკონომიკური პროგრესის ფაქტორი, ქვეყნის ძლიერების შემადგენელი ნაწილი. ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი წარმოდგენილია მრავალი ათეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტითა და უმაღლესი სასწავლებლებით, სადაც 25 ათასი მეცნიერი მუშაკი მოღვაწეობს. მათგან 1317 მეცნიერების დოქტორი, ხოლო 8866 მეცნიერების კანდიდატი.

საქართველოს სს რესპუბლიკას აქვს განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა, არასაწარმოო სფეროს დარგები (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და სხვ.), რაც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებასა და ფუნქციონირებას.

ჩვენი რესპუბლიკის ეს მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საბჭოთა ხალხის მეურ ოჯახში, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად შეიქმნა.

როგორც ცნობილია, რიგ გარემოებათა გამო, რაც ბოლო წლებში მრავალჯერ ითქვა, ჩვენი რესპუბლიკა თავისი ეკონომიკური, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო განვითარების დონით რამდენადმე ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. ასე მაგალითად, თუ 1972 წელს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს საშუალოდ კავშირში მივიღებთ 100-ად (ფაქტიურ ფასებში), საქართველოში ეს მაჩვენებელი 70,4-ს შეადგენდა. მრეწველობის პროდუქციის მიხედვით იგი 61,0-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიხედვით 65,2-ს უდრიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უდიდესი დახმარება გაუწიეს ჩვენს რესპუბლიკას აღნიშნული ჩამორჩენის დასაძლევად. ამის დამადასტურებელია 70-იან წლებში მიღებული დადგენილებები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, ის სისტემატური ყურადღება, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა მშრომელმა პრინციპული ბრძოლა გააჩაღეს პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სამეურნეო მშენებლობის ღრმა მეცნიერული, შემოქმედებითი ანალიზის საფუძველზე მეათე ხუთწლედისათვის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ფართო პროგრამა შეიმუშავეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შემოქმედებითად გამოიყენა რა სკკპ ეკონომიკური სტრატეგიის კური, რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით, მეათე ხუთწლედში ეკონომიკის განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით დაჩქარებული ზრდის, სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში პროგრესული ძვრების, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, რეგიონალური მეურნეობის დაგეგმვის, მართვის სრულყოფის გეზი დასახა და სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში დიდ წარმატებებს მიაღწია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა ღონისძიებებთან ერთად მარტო 1974 წლიდან მოყოლებული რესპუბლიკის ცალკეული რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ 33 დადგენილება მიიღო. მათი შესრულება მნიშვნელოვნად აჩქარებს მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა მშრომელმა ყველაფერი იღონეს ზემოაღნიშნული კურსის განხორციელებისათვის და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. ამას მეათე ხუთწლიანი გეგმის შედეგებიც ადასტურებს.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1976-1980 წლების, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის **გეგმის შესრულების ანალიზი გვიჩვენებს**, რომ დადასებული მისი ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით **სრულდება**. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგთა პროდუქციის, კაპიტალური მშენებლობის ზრდის ტემპით ჩვენი რესპუბლიკა წინ უსწრებს საუშაო საკავშირო მაჩვენებლებს, იზრდება საქართველოს სსრ როლი სსრ კავშირის ეკონომიკურ პოტენციალში. 1975-1979 წლებში რესპუბლიკის ხვედრითი წილი სსრ კავშირის ეროვნულ შემოსავალში 1,5 პროცენტიდან 1,7 პროცენტამდე გადიდდა, სამრეწველო წარმოებაში — 1,27-დან 1,37 პროცენტამდე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში — 1,5-დან 1,8 პროცენტამდე.

ამასთან, ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობის მიხედვით თანდათან მცირდებოდა ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონიდან. ზემოაღნიშნულ პერიოდში წარმოებული ეროვნული შემოსავლის მიხედვით (ფაქტიურ ფასებში) ეს განსხვავება 10,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მრეწველობის პროდუქციის გამოშვების მიხედვით — 7,7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ 14,5 პროცენტული პუნქტით.

ამ აშკარა წარმატებების მიუხედავად, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული. გამოუყენებელი სიმძლავრეებია მრეწველობის თითქმის ნებისმიერ დარგში, დიდია სამუშაო დროის დანაკარგები, განმტკიცებას საჭიროებს საგეგმო დისციპლინა, ერთი სიტყვით, ჩვენს საზოგადოებრივ წარმოებაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. მათი გამოვლენა და მაქსიმალურად გამოყენება ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა და მისი გადაწყვეტა კიდევ უფრო გაზრდის რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს, გაადიდებს მის წვლილს ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი გაძლიერების საქმეში.

განვითარებული სახალხო მეურნეობა, ძლიერი ეკონომიკური პოტენციალი მშრომელთა ცხოვრების მაღალი დონის, მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საფუძველია. ეს გასაგები სოციალისტური წარმოების მთავარი მიზანი. ამ მიზანდასახულობათა მისაღწევად მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ● ახალი შესაძლებლობები შეიქმნა. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალი დონე, დაგროვების არსებული მასშტაბი, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა არა მარტო ეკონომიკის, არამედ სოციალურ-კულტურული განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეშიც. მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ ეკონომიკის დინამიკურმა განვითარებამ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამების განხორციელების, მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური ზრდის შესაძლებლობა შექმნა.

ძვრები ამ მხრივაც 1972 წლიდან, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებიდან დაისახა. 1973-1979 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავალი 72,9 პროცენტით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 61,6 პროცენტით გაიზარდა, და ეს მაშინ, როცა მის წინა შვიდ წელიწადში შესაბამისი მაჩვენებლები 49 და 39 პროცენტს შეადგენდა.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა უზრუნველყო ეროვნული შემოსავლის მოხმარების ფონდის გადიდება როგორც აბსოლუტურად, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ცნობილია, რომ ეროვნული შემოსავლის მოხმარების ფონდის მთავარი ელემენტია მოსახლეობის მიერ მატერიალური ოვლაითის უშუალო, ანუ პირადი მოხმარების ფონდი. მაგრამ მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში სულ უფრო მზარდ როლს სახოგადოებრივი მოხმარების ფონდები ასრულებს. მათი მეშვეობით ხორციელდება უფასო სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამედიცინო მომსახურება, გაიცემა დახმარება და პენსიები, სტიპენდიები, ანაზღაურდება შვებულებები, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი საგზურები. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებულმა ანაზღაურებამ და შეღავათებმა 1960 წელს 447,5 მილიონი მანეთი, ხოლო 1979 წელს 1736,7 მილიონი მანეთი შეადგინა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ეს მაჩვენებელი ამავე პერიოდში 107,5 მანეთიდან 345,5 მანეთამდე გაიზარდა.

მოხმარების ფონდი შეადგენს გამოყენებული ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 3/4-ს, ხოლო სანინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობათა გათვალისწინებით, უშუალოდ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული შემოსავლის 80 პროცენტი იხარჯება.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დასრულდა სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი ხელფასების მომატება არასაწარმოო სფეროს მუშაკებისათვის, აგრეთვე ქვანახშირის, საწვავი ფიქლების, შავი და ფერადი მეტალურგიის, საფეიქრო მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სარკინიგზო ტრანსპორტის და ზოგიერთი სხვა დარგის კატეგორიათა მუშაკებისათვის.

უფრო მჭიდრო კავშირს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას შორის გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მთლიანად 1972-1979 წლებში 16,2 პროცენტით, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 23,1 პროცენტით გაიზარდა. საშუალო საკავშიროსთან შედარებით უპირატესი ტემპით იზრდებოდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის რეალური შემოსავალი. 1973-1979 წლებში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავლები საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში 30 პროცენტით გადიდდა, საქართველოში კი 35 პროცენტით და მეტად. ასეთივე ტენდენციით ხასიათდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასის ზრდა და ამის შედეგად მცირდება ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან. 1975 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი საშუალო საკავშირო მაჩვენებლის მიმართ 81,6 პროცენტს შეადგენდა. კერძოდ, მრეწველობაში დასაქმებულთა ხელფასი 86,3 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხელფასი კი 62,5 პროცენტს აღწევდა. 1979 წელს აღნიშნული ჩამორჩენა მთლიანად 2,5 პროცენტული პუნქტით, მრეწველობის მიხედვით 4,9 პუნქტით, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხელფასის მიხედვით კი 10,9 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

პარტიის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან სოციალურ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალურ შემოსავალს. ამას ხელს უწყობდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების უფრო სწრაფი ზრდა. ასე, მაგალითად, 1961-1979 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი 83 პროცენტით გადიდდა, კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 4,9-ჯერ გაიზარდა და მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის მიმართ 72 პროცენტი შეადგინა, 1960 წლის 33,4 პროცენტის ნაცვლად, ესე იგი სხვაობა ფულადი ანაზღაურების დონეში მკვეთრად შემცირდა. დანარჩენი სხვაობა მნიშვნელოვანწილად იფარება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მეურნეობიდან და კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობიდან ნატურალური შემოსავლით.

დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების, სპეციალურ და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შემოღებას. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდა მნიშვნელოვნად განისაზღვრება საცალო საქონლებრუნვის განვითარებით, მისი სტრუქტურის სრულყოფით. ცნობილია, რომ ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონლებრუნვის მოცულობით ჩვენი რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. ამიტომ კანონზომიერია, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობა ამ ჩამორჩენის დასაძლევადაც გაშალა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ფრიად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მისი ბინებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება. საბინაო მშენებლობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. მეათე ხუთწლედის 4 წლის მანძილზე 100 ათასამდე ახალი ბინა აიგო. საბინაო ფართი მიიღო 546 ათასმა კაცმა, მათ შორის 405 ათასმა ახალ ბინებში.

მეათე ხუთწლედის დამდეგს ჩვენი რესპუბლიკა საშუალო საკავშირო დონეს ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობითაც 8,5 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებოდა. ამჟამად ეს ჩამორჩენა მთლიანად დაძლეულია.

1976-1979 წლებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 32,4 პროცენტით, ხოლო კვების მრეწველობისა — 29 პროცენტით გადიდდა. სწრაფი ტემპით იზრდებოდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო საქონლის გამოშვება. სისტემატურად დიდდებოდა მოსახლეობისათვის მაღალი საკვები თვისებების მქონე სასურსათო პროდუქტებისა და საჭირო მაღალხარისხოვანი არასასურსათო საქონლის მიუიდგა. 1979 წელს 1975 წელთან შედარებით რესპუბლიკის მოსახლეობას 19,4 პროცენტით მეტი რადიომიმღებები და რადიოლები, 5,7 პროცენტით მეტი ტელევიზორები, 30,1 პროცენტით მეტი მაცივრები, 40,2 პროცენტით მეტი ელექტრომტვერსასრუტები და 15,2 პროცენტით მეტი ავეჯი მიეყიდა.

ყოველწლიურად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქტების მოხმარება, სულ უფრო რაციონალური ხდება მისი სტრუქტურა. მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება 8 პროცენტით, კვერცხისა — 18,3 პროცენტით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა — 30,2 პროცენტით, თევზისა და თევზის პროდუქტებისა — 2,9 პროცენტით, შაქრისა — 10,0 პროცენტით, ხოლო მცენარეული ზეთის — 23,7 პროცენტით გადიდდა.

საზოგადოებრივი წარმოებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის საშუალო საკავშირო-სთან შედარებით უპირატესი ტემპით ზრდის შედეგად რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მოხმარების ნორმებისაგან (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით) 1979 წელს 1975 წელთან შედარებით შემცირდა: რძისა და რძის პროდუქტების მოხმარების მიხედვით — 6,4 პროცენტული პუნქტით, კვერცხის — 4,4 პუნქტით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის — 12,9 პუნქტით, თევზისა და თევზის პროდუქტების — 2,4 პუნქტით, მცენარეული ზეთის — 6 პროცენტული პუნქტით.

წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას შორის კავშირი შეინიშნება არასასურსათო პროდუქტების მოხმარების მიხედვითაც.

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის მიერ რესპუბლიკის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის აღებული კურსი წყვეტს არა მარტო საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან ჩამორჩენის დაძლევისა და საკავშირო პოტენციალში საქართველოს სსრ წვლილის გადიდების ამოცანას, არამედ იგი სოციალური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის საწინდარიც არის.

ხალხის კეთილდღეობისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად საგრძნობლად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ქალაქისა და საკავშირო ცენტრების მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებიდ, კერძოდ კი ხორცითა და რძით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა.

ეკონომიკის შემდგომი განვითარება, შრომის სტიმულირების გაძლიერება, ფულადი მიმოქცევის განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მოითხოვს სერიოზულ ძვრებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში როგორც რაოდენობის, ისე ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა: „გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ბ“ ჯგუფის დარგების სწრაფი აღმავლობა უპირველესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ პრობლემის რადიკალურად გადაჭრისათვის უნდა განვავითაროთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება კარგად მოფიქრებული, ხანგრძლივი პროგრამის საფუძველზე, რომელსაც შეეძლება გააერთიანოს ყველა ის დარგის მეცადინეობა, რომლებზეც კი ეს არის დამოკიდებული.

ცნობილია, რომ სურსათით მოსახლეობის მომარაგების პრობლემის გადაჭრისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო პროგრამის მომზადების თაობაზე. ეს იქნება გეგმა, რომელიც გააერთიანებს სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე მრეწველობის დარგების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დარგების განვითარების, სასურსათო ინდუსტრიისა და სურსათის ვაჭრობის განვითარების საკითხებს.

შრომის საკავშირო დანაწილებაში საქართველოს სსრ ადგილისა და როლის გათვალისწინებით აჩვენდა მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და სასურსათო რესპუბლიკური პროგრამების შემუშავება.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პროცესში ზუსტდება მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარი პარამეტრები, მისი ამოცანები კი უკვე განისაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის XXII პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში. მან აღნიშნა: „საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ ამოცანად 1981 წელს ჩვენ მიგვაჩნია რესპუბლიკის წვლილის შემდგომი ზრდა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება იმ საფუძველზე, რომ უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარება, სრულყოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, განვაახლოთ და განვამტკიცოთ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უფრო სრულად გამოვიყენოთ საქართველოს შრომითი და საწარმოო პოტენციალი, მისი ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსები“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

აღმშენებლობის პროგრამა

აერო-ფლოტის მომავალი

რით აღინიშნა გასული წელი, რა სიახლე იქნება რესპუბლიკის ავიატორთა მუშაობაში?— ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი ი. სამადალაშვილი.

— უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ: ჩვენმა ავიაციამ ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლეულის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. წლის მანძილზე აეროფლოტის საწარმოები და ქვედანაყოფები შეივსო თანამედროვე საჰაერო და სააეროდრომო ტექნიკით. გრძელდება თვითმფრინავების აღჭურვა დაჯდომის ავტომატიზებული მართვის საბორტო საშუალებებით. თბილისისა და სოხუმის აეროპორტებში ამონტაჟებენ სპეციალურ მოწყობილობას ამინდის ძნელ პირობ

მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის

(დასასრული)

ენის სულადობის გასაუმჯობესებლად, რაც გთვალისწინებულია ენის ჯიშების დარაიონების გეგ-ით.

თუმცა არის პირობები, რათა ნვითარდეს საცხენოსნო ტურიზმი და შეიქმნას საცხენოსნო-ურისტული ბაზები, მაგრამ უკა-ესული წლების მანძილზე სა-ართველოში ცხენოსნობა, რომ-ც ერთ-ერთი ტრადიციული ოვნული სახეობის სპორტია, ნოვნელოვნად ჩამორჩა სხვა მო-ვშირე რესპუბლიკებში ამ სპო-ტის განვითარების დონეს.

საცხენოსნო კლუბები სუსტად ამენ ცხენოსნობაში ახალგაზრ-ობას. კოლმეურნეობები და სა-ბოთა მეურნეობები არ არიან ბრუნველყოფილი მანეყებითა ა სხვა სპორტული ნაგებობე-ით. რაიონულ საცხენოსნო კლუ-ებს არა აქვთ სახსრები ცხენე-ს შესასყიდად, მათთვის რეგუ-არულად არ გამოყოფენ საჭირო ოდენობის ფურაჟს.

ცხენოსნებს, რო-კულარის ცხენსაშენი, ელიც ხალასსისტიან საჭიდო ცხენებს აშენებს, ვერ უზრუნ-ელყოფს მაღალი კლასის ცხენების ამოზრდას. იმის შედეგად, რომ ენოსნებს სწორი ორგანიზაცი-ლ-სამეურნეო სტრუქტურა არა ქვს, იგი ვერ უზრუნველყოფს ცხენეობისა და სხვა დარგების ალრმონიულ შეხამებას.

თბილისის სახელმწიფო იპოდ-ომი არ არის უზრუნველყოფილი ცხენების სიმკვირცხლის ავტომა-ური აღრიცხვის, ფინიშის ფო-ოგრაფირების თანამედროვე აპა-ატურით, შუქტაბლოთი მაყუ-ებლის ინფორმაციისათვის, ავ-ოსტარტებით.

თბილისის სახელმწიფო იპოდ-ომს არა აქვს სათანადო რაოდე-ენობის ცხენების სადგომი ადგი-ები და ვერ იყენებს ხელ-ემწყობ პირობებს, მთელი წლის ანძილზე სანაშენე ცხენების გა-ოცდის ორგანიზაციისათვის, რაც ეცრებს გამოცდის ეფექტიან-ობას, თბილისის სახელმწიფო ბოდრომის შემოსავლიანობასა ა მნიშვნელობას.

მეცხენეობის, საცხენოსნო სპო-ტისა და ტურიზმის შესაძლებ-ობათა უფრო სრული გამოყე-ების მიზნით საქართველოს კომ-ატიის ცენტრალურმა კომიტე-მა და საქართველოს სსრ მინის-რთა საბჭომ საქართველოს კომ-ატიის საოლქო, საქალაქო და ა-ონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასრ და აჭარის ასრ მინისტრთა ბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავ-ონომიური ოლქის, ქალაქებისა ა რაიონების სახალხო დეპუტა-თა საბჭოების აღმასკომებს, სა-ართველოს სსრ სოფლის მეურ-ეობის სამინისტროს დაავალეს ასაზონ და განახორციელონ რე-ბენტიკის საზოგადოებრივ მე-ურნეობებში მეცხენეობის გან-ითარების კონკრეტული ღონის-ძიებანი, განახორციელონ ქმედ-ი ღონისძიებანი, რათა გაუმ-ობესონ ცხენების გამოყენება მეცხოველეობის ფერმებისა და მოსახლეობის პირადი დამზ-ადო მეურნეობების მომსახურებ-ასათვის შიდასამეურნეო სატრ-ნსპორტო სამუშაოების დროს.

საქართველოს სსრ სოფლის მე-ურნეობის სამინისტროსა და სა-ართველოს სსრ სახელმწიფო სა-ეგმო კომიტეტს დაევალა 1981 ელიდან გეგმაში გათვალისწინ-ონ ცხენების რაოდენობისა და ულადობის ზრდის მაჩვენებ-ლები და გამოყონ კაპიტალდაბა-ებები რესპუბლიკის საზოგად-ებრივ მეურნეობებში მეცხენე-ობის განვითარებისათვის.

ა აინების, კოლმეურნეობა-ისა და საბჭოთა მეურნეობების ელმძღვანელობამ მკაცრად უნდა ერიცხოს ცხენების სულადო-ა და წლიურ ანგარიშში შეიტა-ოს შესაბამისი მაჩვენებლები.

საქართველოს სსრ სოფლის მე-ურნეობის სამინისტროს დაევალა ოლმეურნეობებსა და საბჭოთა მე-ურნეობებსა და სამეურნეობათა-ორისო საწარმოებში შემოღოს ბესრულებულ სამუშაოთა აღრიც-ბა ცხენზედიზე გაანგარიშებით: 981 წლიდან ყოველწლიურად ანათვალისწინოს საწარმოო-სა-ინანსო გეგმებით ცხენების და-ეგმილი სულადობისათვის სა-ირო რაოდენობის ფურაჟისა და ენახეში საკვების გამოყოფა; კუ-ალარის ცხენსაშენთან, როგორც ამოუკიდებელი საწარმოო ერთ-ეული, შექმნას სახელმწიფო რეს-უბლიკური ცხენსაშენის სახე-ინიმ; სახელმწიფო რესპუბლიკ-ური ცხენსაშენის საჯინიბო დაა-ომლექტოს აჯილეებით, მათ ორის თუშური და მეგრული ენის აჯილებით, ცხენის ჯიშ-ების დარაიონების გეგმის შესა-ამისად 1981 წლის მანძილზე.

სამინისტრომ უნდა დასახოს და ანახორციელოს თბილისის სახე-მწიფო იპოდრომის მატერია-ლურ-ტექნიკური ბაზის განმტ-კიცების ღონისძიებანი; გამოყოს საჭირო სახსრები თბილისის სა-ელმწიფო იპოდრომზე სასტა-რტო ბოქსების, ფოტოფინიშის, ცხენების სასეირნო მოედნების, ელექტრტაბლოს და ცხენების საშხაპეების მოწყობისათვის, სანა-შენე ცხენების გამოცდასთან ერ-თად მოაწყოს კოლმეურნეობები-სა და საბჭოთა მეურნეობების ცხენოსანთა შეჯიბრებები, შეხ-ვედრები კლასიკური და ეროვნ-ული სახეობების სპორტში (ის-ინდი, ცხენბურთი, ყაბახი და სხვა), შეჯიბრებანი რუსული სამ-ცხენა ეტლებით, სანაშენე ცხენე-ბის გამოფენები; განიხილოს და გადაწყვიტოს თბილისის სახელმ-წიფო იპოდრომის რეკონსტრ-უქციისათვის საჭირო ფულადი სახსრების გამოყოფის საკითხი აქ მთელი წლის მანძილზე ცხენების გამოცდის ორგანიზაციის მიზ-ნით; ყველა პირობა შეუქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო-საყმაწვ-ილო სახელოსნო სკოლას სასწ-ავლო-აღმზრდელობითი პროცეს-ის ნორმალური გაძღოლისათვის, ეგრეთვე ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს საქართველოს მინისტრ-თა საბჭოსთან არსებულ ფიზკულ-ტურისა და სპორტის კომიტეტს, სპორტულ საზოგადოებებს „კო-ლმეურნეს“ და „დინამოს“ სპო-რტსმენების მომზადებისა და როგორც ღია, ისე დახურულ მა-ნეყებზე სპორტული ღონისძეე-ბების მოწყობისათვის, ამასთან გამოუყოს ამ მიზნით სპეციალუ-რი ზონა.

მიზანშეწონილად არის მიჩნეუ-ული მოეწყოს ცხენსაშენი დასავ-ლეთ საქართველოში და საქართ-ველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს დაინ-ტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს აღნიშნული ცხენსაშენის შექმ-ნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ცხენოსნობის, ტურიზმის, ახ-ალგაზრდათა შორის სასწავლო-გამჯანსაღებელი მუშაობის განვითარებისათვის თბილისის სახელმწიფო იპოდრომის შესაძლებ-ლობათა სრული კომპლექსური გამოყენების მიზნით შეიქმნა საცხენოსნო-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციის საბჭო, რომელშიც შევიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. შ. მ. ეცადაშვილი (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ო. დ. ქინქლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. ლ. ვა, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი — ცხენოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ამხ. ლ. ლ. შარაშენიძე, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ა. ჯოხ-თაბერიძე, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ თავმჯდომარე ამხ. ი. ი. ბოკორიძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო მოვალენი არიან მოაწყონ ტურისტული საცხენოსნო მარშრუტების ფართო ქსელი აფხაზეთის ასრ რესპუბლიკის, გარდაბნის, ბორჯომის, ცაგერის, ახმეტისა და სიღნაღის რაიონების ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტთან ერთად, დაევალათ 1981-1985 წლებში მოამზადონ შესაბამისი სამეცნიერო-მეთოდიკური და პოპულარული ლიტერატურა, დამზმარე სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები მეცხენეობის, ცხენოსნობის, ტურიზმისა და ქართული ეროვნული საცხენოსნო ასპარეზობის საკითხებზე, ხოლო საქართველოს სსრ გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს — უზრუნველყოს მათი გამოცემა შეკვეთის წესით 1981-1985 წლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავიანთი დადგენილებით დასახეს რესპუბლიკაში მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების მთელი რიგი სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ენერგეტიკისა და ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ენერგეტიკული სიმძლავრეების ამოქმედების, მეათე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის და გოელროს ლენინური გეგმის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ენერგეტიკული საწარმოების, სამშენებლო-საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარჩინებულ მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდებები. (საქინფორმი).

გამოხმაურება

ახალი მაღალი მიჯნები

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს უწოდებენ XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, პრესა, გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების გრანდიოზული გეგმები წარმატებით განხორციელდება.

ბონი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტი თვალსაჩინოდ მოწმობს საბჭოთა ეკონომიკის, მსოფლიო ეკონომიკის დინამიკურ და სტაბილურ განვითარებას, რომელიც დგას მთელი ხალხის სამსახურში, განაცხადა თვალსაჩინო დასავლეთგერმანელმა მეცნიერმა, პროფესორმა **იოზეფ შლეიფშტეინმა.** იმ დროს, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონოპოლიები გაძლიერებით ზღუდავენ მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ხოლო მმართველი წრეები მოუწოდებენ მშრომელებს „უფრო მაგრად შემოიჭირონ ქამარი“, საბჭოთა კავშირში გათვალისწინებულია მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემდგომი არსებითი გადიდება.

ჰელსინკი. ახალი საბჭოთა ხუთწლიანი გეგმის პროექტი ქვაკუთხედად სახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, უაეთესი პირობების შექმნას პიროვნების ყოველმხრივ განვითარებისათვის, წერს „უუსი ხუოსი“. დასახული ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნება შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომლის წყალობითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეროვნული შემოსავლის თითქმის მთელი მატება.

კოლომბო. საბჭოეთის თითოეული მშრომელის რეალური შემოსავლის გადიდება, რომელიც გათვალისწინებულია ახალი ხუთწლიანი გეგმით, დამაჯერებლად ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი მიზანი იყო და კვლავაც არის ადამიანის კეთილდღეობა, მისი მატერიალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, პიროვნების ყოველმხრივ აყვავება, განაცხადა შრი ლანკის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გუნასეკერამ.** საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ისახავს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას, კვლავ განუხრელადაა დაკავშირებული თანამიმდევრულ და მყარ სამშვიდობო პოლიტიკასთან, დაძაბულობის შენელების დამკვიდრების, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის კურსთან.

ვანაგუა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი უპირველეს ყურადღებას უთმობს ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგების, საბინაო პირობების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, აღნიშნავს ნიკარაგუის გაზეთი „ბარიკადა“. ისევე როგორც ყველა წინა საბჭოთა ხუთწლედი, ახალი ხუთწლიანი გეგმა შედგენილია ზუსტი მეცნიერული ანალიზისა და სოციალისტური მშენებლობის იმ უმდიდრესი გამოცდილების შემოქმედებითი განზოგადების საფუძველზე, რომელიც შეიძინეს საბჭოთა კავშირმა, სოციალიზმის სხვა ქვეყნებმა.

ფოტოოგიექტივი ამსილებს



დაძაბულობის ესკალაცია

თავისი „საარსებო“ ინტერესების დაცვის ყალბი საბაბით ამერიკის შეერთებული შტატები აღვივებს დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის რაიონში, ამავე დროს აფართოებს სამხედრო ბაზების ქსელს. ამერიკის „ბაზების იმპერიაში“ უკვე შედიან ისრაელი, ეგვიპტე, სომალი, კენია, ომანი, ეგრეთვე საუდის არაბეთი, სადაც განლაგებულია „ავაქსის“ სისტემის ამერიკული მზვერავ-თვითმფრინავები.

გარდა ამისა, ვაშინგტონი გეგმავს სპარსეთის ყურეში რეგიონული სამხედრო ბლოკის შექმნას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამერიკის ადმინისტრაციის მილიტარისტული აქციის გამო ახ საშიში ვითარება იქმნება.

სურათებზე: (ზემოთ) „ავაქსის“ სისტემის ამერიკული მზვერავ-თვითმფრინავი; (ქვემოთ) მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც ამას წინათ ვაშინგტონში გიმართა.

საკადესის ფოტო.

● ●

მათი ზნე-ჩვეულება

მზაკვრული მონაჭორი

პარიზი. გამოაშკარავდა, რომ ფრანს პრესის საინფორმაციო საagენტოს კიდევ ერთი ცნობა ავღანეთში მომხდარი ამბის შესახებ მზაკვრული პროპაგანდისტული მონაჭორია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ საქმის ვითარებასთან.

რამდენიმე დღის წინ ამ საagენტომ დაიმოწმა პაკისტანის წყაროები და გამოაცხადა თითქოს ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და იუსტიციის მინისტრი აბდულ რაშიდ არიანი „ქვეყნიდან გაიქცა“. ეს „ახალი ამბავი“ მაშინვე აიტაცა დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმ ნაწილმა, რომლის ძირითადი საქმიანობაა გაავრცელოს მასალები ერთადერთი მიზნით, რომ დაამახინჯოს ამჟამად ავღანეთში შექმნილი ვითარება.

მაგრამ ამჯერადაც სამარცხვინოდ ჩაეშალათ გეგმები ცნობის ავტორებს. 31-ე დეკემბერს საღამოს აბდულ რაშიდ არიანი გამოჩნდა ავღანეთის ტელევიზიის ეკრანებზე. პრემიერ-მინისტრის მოადგილემ პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს და ცნობას „გაქცევის“ შესახებ უწოდა „სასაცილო ჭორი“ და „ყველაზე იაფფასიანი მონაჭორი“.

მან აღნიშნა, რომ რეაქციული პროპაგანდა სისტემატურად ავრცელებს სიცრუეს ავღანეთისა და მისი ხელმძღვანელების შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა როდია, როცა ფრანს პრესის საagენტოს ცნობები ავღანეთში ამა თუ იმ სენსაციური „ამბის“ შესახებ ჩვეულებრივი პროპაგანდისტული მონაჩმახი გამომდგარა.

ადმინისტრაციის „უკანასკნელი ამოსუნთქვა“

ლონდონი. როგორც რეიტერის საინფორმაციო საagენტო იუწყება, კარტერის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირისათვის ამერიკული მარცვლეულის მიყიდვაზე ნაწილობრივი ემბარგო გააგრძელოს კიდევ ერთი წლით 1981 წლის 31 დეკემბრამდე. ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ ამ გადაწყვეტილებას აქვს წმინდა სიმბოლური მნიშვნელობა, ვინაიდან რ. რეიგანის ადმინისტრაციას შეუძლია გააუქმოს იგი ნებისმიერ მომენტში მას შემდეგ, რაც 20 იანვარს მოვა ხელისუფლების სათავეში. ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა ამ გადაწყვეტილებას უწოდა კარტერის მთავრობის „უკანასკნელი ამოსუნთქვა საგარეო პოლიტიკაში“.

საკადესის და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

3 იანვარი

საჭირო დიალოგი

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დესტენმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირთან დიალოგის განგრძობას. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა დარბაზობაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ საფრანგეთი დაუღალავად იმოქმედებს მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

პრეზიდენტმა თქვა, რომ საფრანგეთი მომავალშიც მხარს დაუჭერს შეიარაღების შეზღუდვის, ხოლო შემდეგ — შემცირების ყოველგვარ ღონისძიებას.

რა მოელით ირანის რადიოს განმარტება ამერიკელ მძევლებს?

ირანი არ აპირებს ოთხი მოთხოვნიდან გადაუხვიოს რომელიმეს

თეირანი. ირანის რადიომ გაავრცელა „აშშ-ში დადანაშაულებულ ამერიკელ მძევალთა პრობლემა. კომენტარში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ამერიკის მხრივ დადებითი პასუხის გაგიაზრება აიძულებს ირანს დაადგეს უფრო მტრულ პოზიციას, რის შედეგად მძევლები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. ისლამური კანონების შესაბამისად მძევალთა გასამართლებას შეიძლება მოჰყვეს მათთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა „აშშ-ის ბრალდებით. ამ სასამართლო პროცესის მოწყობა, ნათქვამია კომენტარში, ამხილებს ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევას სხვა ქვეყნების საქმეებში. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის საელჩოები დიდ სიძნელეებს წააწყდებიან, რადგან ეს საელჩოები წარმოადგენენ შეთქმულებებისა და ჯაშუშობის ცენტრებს. ამერიკის სახელსა და რეპუტაციას უფრო მეტად მოეცხება ჩირქი, ვიდრე ოდესმე.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ირანის რადიოს კომენტარს „შეშფოთების გამომწვევი“ უწოდა.

შეეხო რა ირანის ფინანსური პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ეს დაკავშირებულია უამრავ სიძნელესთან, რომელთა გადაჭრას ალბათ ვერ შეძლებენ უახლოეს დროში.

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააagენტო იუწყება, ირანის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბეჰეშთიმ, რომელსაც პარლამენტმა პასუხისმგებლობა დააკისრა მისი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არ აპირებს ოთხი მოთხოვნიდან გადაუხვიოს რომელიმეს, რომლებიც პარლამენტმა წამოაყენა მძევალთა განთავისუფლების პირობად.

როგორც ვიცით, ირანი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისროს ვალდებულება — არ ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში, გააუქმოს ყრძალვა ირანის აქტივებზე, რომლებიც 8-დან 18 მილიარდამდე დოლარს შეადგენს და რომლებიც „გაყინულია“ ამერიკის ბანკებში, ბათილად ცნოს ყველა სასამართლო სარჩელი და ამერიკის ფირმებისა და კერძო მოქალაქეთა სხვა პრეტენზიები ირანისადმი, რომლებიც აღიძრა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ, და დაუბრუნოს ირანს შაჰისა და მისი ოჯახის მიერ ნაძარცვი და საზღვარგარეთ გატანილი სიმდიდრე.

მოთხოვნას შეერთებული შტატებისადმი — „უზრუნველყოს ირანის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის გარანტიები — ბეჰეშთიმ „ყველა მოთხოვნიდან უმნიშვნელოვანესი“ უწოდა.

ირანის რადიოს განმარტება

მიწვევას დასთანხმდა

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაციის ოფიციალური პირნი იუწყებიან, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი დასთანხმდა რეიგანის მიწვევას, რომ ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდეს ვაშინგტონში. თებერვლის შუა რიცხვებში ვაშინგტონს ეწვევა ეგრეთვე ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი.

ამჟამად მიმდინარეობს ბჭობა საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის თაობაზე.

მსოფლიოს გარშემო

საინტერესო სიახლე

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაძვირებამ მსოფლიო ბაზარზე სპეციალისტები აიძულა ეძებონ ენერგიის ისეთი ტრადიციული წყაროების გამოყენების ხერხები, როგორიც ბუნებრივი გაზი და ქვანახშირია.

ამას წინათ ავსტრალიის ქალაქ ნიუკასლის გემთსაშენში დაიწყო სატვირთო გემის აგება. 7.500 ტონა წყალწყვის ახალ ხომალდს ექნება ორი ძრავა, რომლებიც იმუშავებს როგორც ჩვეულებრივი დიზელის სათბობით, ისე ბუნებრივი გაზით.

გემის მშენებლობა ივლისში დამთავრდება. მისნ მფლობელები ვარაუდობენ, რომ ამ სიახლით დიდძალ მოგებას მიიღებენ.

„ჭარების ვარდი“ დაბრუნდა

დამთავრდა ბრიგანტინის „ჭარების ვარდის“ (სურათზე) ორწლიანი მოგზაურობა დედამიწის გარშემო. მან იგივე გზა გაიარა, რაც 480 წლის წინათ ლეგენდარულმა ინგლისელმა ზღვაო მოგზაურმა და ფლიბუსტიერმა ფრენსის დრეიკმა.

ცურვის მთელი ხნის განმავლობაში ერთმანეთის მონაცვლეობით 400-მდე ახალგაზრდა მკვლევარი ეთნოგრაფიულ კვლევას ეწეოდა და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში აღრიცხავდა აფრიკის აშვიათ სახეობათა ცხოველებს, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს.

აპ-საკადესის ფოტო.

საკურაძიმამ კვლავ გაილვიძა

ახალი წლის დადგომასთან ერთად კვლავ გაღვიძა იაპონიის აქტიურად მოქმედმა ვულკანმა საკურაძიმამ (კაგოსიმის პრეფექტურა). მის სამხრეთ პიკზე აღიმართა კვამლისა და ფერფლის 1500-მეტრიანი სვეტი. ახლომახლო რაიონების მცხოვრებლები შეაშფოთა ბობოკარი ვულკანის ძლიერმა გუგუნმა. იგი 1980 წელს 272-ჯერ ამოიფრქვა. ბოლო უმნიშვნელო ამოფრქვევა მოხდა მარტის 29 დეკემბერს.

სიურპრიზი — ავტოგრაფების მოუვარულებს

დიდ თავხატეს უჩენენ იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის ხაქალაქო ხაზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკებს ავტობუსსა და ტრამვაიში „ავტოგრაფების“ დატოვების მოყვარული მგზავრები. მათ წინააღმდეგ სამართლელად ყველაზე უკეთ მაინც იუმორის გრძნობამ გაგრა. ავტობუსების სალონის ბოლოში, სადაც ჩვეულებრივ ახალგაზრდებს უყვართ ხოლმე მგზავრობა, დაამაგრეს სპეციალური დაფები წარწერით: „წერეთ აქ!“. სანახლე ნორჩ მგზავრებს მოეწონათ, და როგორც კი ხაშუალებას იხელეთებენ, „სამუდამოდ“ ტოვებენ თავიანთ ავტოგრაფს ხაქალაქო ტრანსპორტში, ოღონდ ოფიციალურად ნებადართულ ადგილას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ენერგეტიკისა და ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ენერგეტიკული სიმძლავრეების ამოქმედების, მეათე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის და გოელროს ლენინური გეგმის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ენერგეტიკული საწარმოების, სამშენებლო-საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარჩინებულ მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდებები. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ კომენტარი

სანამ კვერთხი ხელთ არ უპყრიათ

რ. ალენის ერთი ინტერვიუს გამო

ახალი წლის წინა დღეებში ვაშინგტონიდან მოვიდა ახალი ცნობები პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში ახალი დანიშვნების შესახებ. ცხადია, ჩვენი და საერთოდ მთელი მსოფლიოს ყურადღებას იქცევს უმაღლესი რანგის მოხელეების დანიშვნა, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტს უხელმძღვანელებენ და მეერთეული შტატების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ თვალსაზრისით, გენერალ ალექსანდრე ჰეიგის სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცნობა, რომ რიჩარდ ალენი ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწედ გამოაცხადეს.

ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამ კაცის შეხედულებანი საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე, რადგანაც იგი უშუალოდ მონაწილეობს რ. რეიგანის მთავრობის პროგრამის შედგენაში. როგორც ჟურნალ „უეზიატედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტისათვის“ მიცემული ინტერვიუდან ჩანს, რ. ალენი (და, ალბათ სახელმწიფო დეპარტამენტიც) მთავარ ყურადღებას გაამახვილებს კახადასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, ვინაიდან, როგორც იგი თვითონ აღნიშნავს, „ცხადია ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორია; მექსიკის მნიშვნელობა კი (იგულისხმება უპირველესად ნავთობი — ე. მ.) ნათელია. საერთოდ საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენი კავშირი მთელ ლათინურ ამერიკასთან“, რაც „კომუნიზმის შემოჭრის“ საშიშროებით აიხსნება, ესე იგი უნდა შეაჩეროს სოციალური და პროგრესული ძვრები ამ კონტინენტზე, რაც მონროს დოქტრინის თავისებურ მოდიფიკაციას წარმოადგენს: „ამერიკა (მთელი კონტინენტი) ამერიკელებისათვის“ (იგულისხმება შეერთებული შტატები).

საინტერესოა, რომ რ. რეიგანმა უკვე გამოთქვა აზრი ახალი ეკონომიკური და სამხედრო ალიანსის შექმნის შესახებ, რომელშიც, მისი თქმით, შევა „სამი დიდი დემოკრატია (აშშ, კანადა და მექსიკა)“, როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ეს „სამთა კავშირი“ ამერიკის ბატონობის საფუძველს შექმნის დასავლეთის ნახევარსფეროში.

რაც შეეხება სპარსეთის ყურეს, რ. ალენის აზრით, აქ ვაშინგტონს „მნიშვნელოვანი საარსებო ინტერესები ამოძრავებს, რაც „თანაბრად კარგად უნდა შეიგნონ შეერთებული შტატების როგორც მოკავშირეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა“. ამისთვის კი საჭიროა „ძლიერი სამხედრო პოზიცია, რომელიც მტკიცე, თანამიმდევრული პოლიტიკის“ საძირკველი გახდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ აქ საქმე გვქონდეს „ძალის პოლიტიკის“ კიდევ ერთ გამოვლინებასთან, რაც ცხადია, უფრო გაამწვავებს არსებულ ვითარებას. მამოძრავებელი ძალა კი აქაც (როგორც მექსიკის მიმართ) ნავთობია.

რაც შეეხება მეზობელ ახლო აღმოსავლეთის რაიონს, აქ როგორც ჩანს, არაფერი შეიცვლება. გაგრძელდება კემპ-დევიდის კურსი, რომელიც უნდა განმტკიცდეს იორდანიის მონაწილეობით. როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, რ. რეიგანი „უფრო მეტად ემხრობა ისრაელს, ვიდრე მისი წინამორბედი“. რ. ალენის აზრით, „ჩვენ არ უნდა ვაიძულოთ ისრაელი დატოვოს დასავლეთი ნაპირი (იგულისხმება მდინარე იორდანისა — ე. მ.) სხვისი ზეგავლენით... (ესე იგი ისრაელმა — ე. მ.) რაღაც უნდა მიიღოს სანაცვლოდ. გარდა ამისა, ჩინეთის რეგულარული არმიის ქვეგანაყოფები უშუალოდ მონაწილეობენ პაკისტანის ჯარებთან ერთობლივ მანევრებში პაკისტანის მიერ ოკუპირებულ ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის ნაწილში, ხოლო ჩინეთისა და პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები მუდამ არღვევენ ინდოეთის საჰაერო სივრცეს. პაკისტან-ჩინეთის ალიანსი, ხაზს უსვამს დასასრულ „ბლიტცი“, საფრთხეს უქმნის სუბკონტინენტზე მშვიდობასა და უშიშროებას.

ნატოს საახალწლო მასკარადი

● ●

ა. კანდელაკის ნახატი.

საბერძნეთი — „საერთო ბაზარში“

ათენი. 1 იანვრიდან საბერძნეთი ოფიციალურად შევიდა „საერთო ბაზარში“. მაგრამ დაჯგუფების სრულუფლებიანი წევრი იგი გახდება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე მან თავისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტრუქტურა უნდა გარდაქმნას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკა მხატვრის თვალით

ინდოეთი — ატომური ბომბი

ქრესა ქდაესტურებს

საშიში საშზადისი

პაკისტანი აპირებს ატომური ბომბის გამოცდას

დელი. ინდოეთის პოლიტიკურ წრეებში შეშფოთებით აღვნიშნ

 კომუნისტი
საკვირაო საკითხავი

კეთილი საქმის მეკვლენი

მალაპარაკეთ, საჩქაროა!

ასფუტელას ზღაპრიდან კიდევ ერთი მზეკაბუკი ეწვია ჩვენს ქვეყანას. თან მოიტანა ულევი სიხარული, ათასობით ღიმილი და ბედნიერება.

ასეა დასაბამიდან. ახლობლები ერთმანეთს ულოცავენ ახალი წლის დადგომას. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვისაც ყველაზე მეტად უყვარხარ, ვისაც შენთვის ყველა სიკეთე დაუშურველად ემეტება, ახალი წლის ღამეს მასთან არა ხარ. ჯარმაგნი სოფლად დარჩენილან, მამაპაპურ კერას ვერ შელევიან, ზოგნი უცხოეთის მიწაზე შრომობენ, ზოგნიც ახლა შორეულ საზღვარზე დგანან.

მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ უაღრესად საჭირო და დაუზარელი შრომით ჩვენ ვამყარებთ კონტაქტს, არ ვგრძნობთ სიშორეს.

თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის საკომუტატორო საამქროში ერთი წუთითაც არ წყდება რიტმული მუშაობა.

—„მიიღეთ შეკვეთა“, „სასწრაფოა“, „გთხოვთ დამიჩქაროთ“ — ეს სიტყვები გამოდმებით ჩაესმით აქ მომუშავე ტელეფონისტებს. 31 დეკემბერს, როცა ადამიანები საახალწლო ხუფრას მიუსხდნენ, ცისფერ ეკრანს მისჩერებოდნენ, ე. ზაქარიაშვილი, ლ. კაზარიანი, ლ. ბულკიანი, ვ. ლუკიანოვა, თ. პეტრიაშვილი, ჯ. მაისურაძე, ვ. არჩვაძე, ტ. ლევიტინა, ვ. კუტალია, მ. მეზურნიშვილი, ა. ჩახოიანი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა, სატელეფონო პულტს ერთი წუთით ვერ სცილდებოდნენ.

აი აწკრიალდა ტელეფონი;

— თქვენ დაუკავეთეთ ალეირი?

— ისმის ყურმილში ტელეფონისტი ქალის ხმა, — გილოცავთ ახალ წელს. ქალბატონო, გთხოვთ არ დაკიდოთ ყურმილი, ახლავე გალაპარაკებთ. და გაისმა ნანატრი ხმაც: დედა და შვილი, ბედნიერებით აღსავსენი, ერთმანეთს ულოცავდნენ ახალ წელს, ჯანრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას, მალე მშვიდობიან შეხვედრას უსურვებდნენ ურთიერთს მშობლიურ თბილისში.

ეს სატელეფონო საუბარი საქართველოს ჰიდროტექნიკის და მელიორაციის ინსტიტუტის თანამშრომელ მარიკა ვარდანაშვილსა და დედამისს შორის შედგა. მარიკა მეუღლესთან — ვლადიმერ ბოკერიასთან ერთად სამი წელია ალეირში მუშაობს, ორივენი კეთილ საქმეს ემსახურებიან და წლეულს ვალმოხდილნი სამშობლოში დაბრუნდებიან. მანამდე კი კავშირგაბმულობის სიკეთით გულს იმშვიდებს დედა...

— ელაპარაკეთ, ხაზზეა მადრიდი!

თურმე ნუ იტყვით, თბილისში ესპანელი რძალი გვყოლია—ტერეზა ხოზე ლალიაშვილი, დედამისი ხოზე თინა კი ესპანეთში ცხოვრობს, ოთხმოცი წლისაა. დედაშვილი ახალ წელს ულოცავდნენ ერთმანეთს.

ღამეს დღე ცვლის, დღეს — ღამე. ოცდაოთხი საათის განმავლობაში უწყვეტ ვახტზე დგანან ქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის თანამშრომლები და ერთგულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ლ. ჟინჭლაძე.

საუკეთესო ნაშრომთა ციკლი

გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია — პროფ. გ. ცაგარეიშვილს

დღესასწაულისწინა დღეებში სასიხარულო ამბავი შეიტყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ გიორგი ცაგარეიშვილს.

დებულების თანახმად ეს საპატიო ჯილდო ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითი, უმაღლესი სასწავლებლების ან სხვა დაწესებულებების მეცნიერებს ტექნიკის დარგში შექმნილი საუკეთესო ნაშრომისათვის. და აი, ამჯერად საუკეთესოდ აღიარეს გ. ცაგარეიშვილის ნაშრომთა ციკლი „მაღალი სისუფთავის კრისტალური ბორის მიღება, მისი სტრუქტურისა და თვისებების გამოკვლევა“.

ეს გამარჯვება შემთხვევითი არ არის. იგი ხანგრძლივი, საფუძვლიანი და დაუღალავი შემოქმედებითი ძიების კანონზომიერი შედეგია. კარგა ხანია, რაც პროფესორმა გ. ცაგარეიშვილმა ბორის მონოკრისტალების სტრუქტურისა და თვისებების თვალსაჩინო მკვლევარის სახელი დაიკვიდრა. ბორის ტექნოლოგიისა და თვისებების პრობლემებზე შექმნილი მისი შრომები ფართოდ არის ცნობილი საბჭოეთშიც და უცხოელი სპეციალისტებისთვისაც.

ქართველი მეცნიერის ავტორიტეტის აღიარების ერთ-ერთი დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ იგი ბორის საკითხებზე საერთაშორისო სიმპოზიუმების მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის წევრად აირჩიეს. გ. ცაგარეიშვილის ვამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა აქვს მყარი სხეულების ფიზიკისა და ქიმიის, თეორიული და გამოყენებითი მასალათმცოდნეობის ბევრი საკითხის გადაწყვეტისათვის.

მრავალი წლის დაძაბული და შთაგონებული შრომის შედეგად, თბილისში მცხოვრებმა გამოჩენილმა სომეხმა პოეტმა და მთარგმნელმა ოვანეს კარაიანმა დაამთავრა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სრული თარგმანი. ამასთან დაკავშირებით მას ესაუბრა გამომცემლობა „მერნის“ სომხურ გამოცემათა რედაქტორი ა. ჩობანიანი. გთავაზობთ ამ საუბარს.

— გთხოვთ გვიამბოთ, თუ როდის და რა ვითარებაში სცადეთ პირველად გეთარგმნათ „ვეფხისტყაოსანი“.

— ძალიან დიდი ხნის, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ. მე ისეთ ოჯახში დავიბადე, სადაც თანაბრად იყო მიღებული სომხური და ქართული ენა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემა ყოველთვის ამშვენებდა ბებიაჩემის მოხავერდებულ პატარა, მრგვალ მაგიდას. მამაჩემი, ლიტერატორი და მთარგმნელი ყაზაროს კარაპეტიანი, დედაჩემთან, შუშანა რევაზიშვილთან და ბებიებთან ერთად, მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ჩემი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, ალექსანდრე გორდეზიანი კი ისე ხშირად მათარგმნინებდა გაკვეთილებზე, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილმა შეკვეთილი თარგმანის ანბანი და თარგმანთა ბეჭდვა სამავშვო ჟურნალ „კარმირ წილერში“ („წითელი ჯეჯილი“) დაიწყე. 1936 წელს (ამ დროისათვის მე უკვე თავადაც ვწერდი ლექსებს) ჟურნალის რედაქტორის, რუბენ აღაბაბის დავალებით ვთარგმნე „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავი და აფორიზმთა თაიგული. ეს თარგმანები „კარმირ წილერსა“ და საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის ჟურნალ „არშაგში“ („ლაშქრობა“) დაიბეჭდა, გადაიცა თბილისისა და ერევნის რადიოთი.

არ შემიძლია ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ ჩემს ამ პირველ ნაბიჯებს მოწონებით შეხვდნენ აკადემიკოსი ა. კარინიანი, პროფესორები ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, მწერალი ნინო ნაკაშიძე, პოეტ-აკადემიკოსები გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი და სხვები. შემდეგში, როდესაც საფუძვლიანად გადავხედე ჩემს ადრინდელ თარგმანებს, ბევრი რამ შევცვალე და გადავაკეთე.

— გთხოვთ მოკლედ გაგვაცნოთ „ვეფხისტყაოსნის“ თქვენეული თარგმანიდან რა დაიბეჭდა და სად.

— ჩემი თარგმანები იბეჭდებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თითქმის ყველა სომხურ პერიოდულ გამოცემაში, ოღონდ ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ შესულია სომხურ სასკოლო სახელმძღვანელოებში. 1971 წელს გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ მასობრივი ტირაჟით გამოსცა შოთა რუსთაველის აფორიზმების ჩემეული თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები სისტემატურად იბეჭდება ალმანახ „კამურჯში“ („ხიდი“). ამრიგად, დღემდე გამოქვეყნებული მაქვს პოემის 3.700 სტრიქონი.

— ცნობილია, რომ თქვენს თარგმანში შენარჩუნებულია თექვსმეტმარცვლიანი ზაირი მონორითმული კატრენებით, მისი შიდა რითმები, ბგერწერა და სხვა პოეტური ხერხები. როგორღა გადაწყვიტეთ მაღალი და დაბალი ზაირის პრობლემა?

— ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხე ჯერ კიდევ 1971 წელს გაზეთში „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ — დაბეჭდილ წერილში „რუსთაველი გვიხმობს“. საქმე ის გახლავთ, რომ სომხურ ენაში დაბალი ზაირის გამოყენება ისე, რომ ბუნებრივად ეღერდეს, შეუძლებელია, რადგან იქ მახვილი მოუდის სიტყვის ბოლო მარცვალს, მაგრამ ამის ნაცვლად შეიძლება სტრიქონის რიტმის შეცვლა ერთ, ორ და მრავალმარცვლიანი სიტყვების შესაბამისი გამოყენებით, რაც დაბალი და მაღალი ზაირის ილუზიას ქმნის და იმავე მიზანს ემსახურება.

— რა სირთულეებს აწყდებოდით თარგმნისას?

— როგორც მოგეხსენებათ, პატარა ლექსის თარგმანიც არ არის იოლი საქმე, მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელეც კი ძნელად არ ითქმის, თუ მას თან სდევს შემოქმედებითი სიხარული. რუსთაველი თვითონვე გიმსუბუქებთ მძიმე ტვირთს. მაგრამ იყო უსიამოვნო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა შეცნიერთან — სხვადასხვაგვარად იყო ახსნილი. მაგალითად, სიტყვა ხადუმი ზოგთან მოახლეა, ზოგთან— მსახური, ზოგთან — საჭურისი. დაკვირვებულ მკითხველს ახსოვს, რომ ერთ-ერთი ხადუმი თავის ტანსაცმელს უთმობს გაქცევისას ნესტან-დარეჯანს, რომლითაც მას ქაჯთაგან ქალობა უნდა დაეშალა. განა შეეძლო მას, მოახლე ქალის ტანისამოსში გამოწყობილს, ამის გაკეთება? გვახსოვს აგრეთვე, რომ ნესტან-დარეჯანს ქაჯეთის ციხეში იცავდა ათი ათასი რჩეული ხასა და ერთი ხადუმი. ნუთუ ცხადი არ არის, რომ ეს პირადი მსახური და მცველი ხადუმი საჭურისი ყოფილა?

— რაზე მუშაობთ ამჟამად, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის დამთავრების შემდეგ?

— უპირველეს ყოვლისა, იმ ჰეშმარიტებას შეგახსენებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არავითარი თარგმანი არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად. მეც არასოდეს შეეწყვეტ მუშაობას მისი სრულყოფისათვის. ამჟამად ვავსებ ჩემს ვეეულს „ყელსაბამის მარგალიტები“, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში ნაგროვები მცირე ფორმის პოეტური მარგალიტები მოიყრის თავს და რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენაზეა შექმნილი.

განვაგრძობ ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის თარგმანს. დავამთავრე პოემა „გალაკტიონი“, ვამთავრებ პოემას „მატიანე რწმენისა და სიამაყის“, რომლის ნაწილი ალმანახ „კამურჯში“ დაიბეჭდა. ვწერ ახალ ლირიკულ და ეპიკურ ნაწარმოებებს.

რუსთაველი ახმიანდა სომხურად

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი სრული თარგმანი სომხურ ენაზე

ხოლო ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ შესულია სომხურ სასკოლო სახელმძღვანელოებში. 1971 წელს გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ მასობრივი ტირაჟით გამოსცა შოთა რუსთაველის აფორიზმების ჩემეული თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები სისტემატურად იბეჭდება ალმანახ „კამურჯში“ („ხიდი“). ამრიგად, დღემდე გამოქვეყნებული მაქვს პოემის 3.700 სტრიქონი.

— ცნობილია, რომ თქვენს თარგმანში შენარჩუნებულია თექვსმეტმარცვლიანი ზაირი მონორითმული კატრენებით, მისი შიდა რითმები, ბგერწერა და სხვა პოეტური ხერხები. როგორღა გადაწყვიტეთ მაღალი და დაბალი ზაირის პრობლემა?

— ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხე ჯერ კიდევ 1971 წელს გაზეთში „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ — დაბეჭდილ წერილში „რუსთაველი გვიხმობს“. საქმე ის გახლავთ, რომ სომხურ ენაში დაბალი ზაირის გამოყენება ისე, რომ ბუნებრივად ეღერდეს, შეუძლებელია, რადგან იქ მახვილი მოუდის სიტყვის ბოლო მარცვალს, მაგრამ ამის ნაცვლად შეიძლება სტრიქონის რიტმის შეცვლა ერთ, ორ და მრავალმარცვლიანი სიტყვების შესაბამისი გამოყენებით, რაც დაბალი და მაღალი ზაირის ილუზიას ქმნის და იმავე მიზანს ემსახურება.

— რა სირთულეებს აწყდებოდით თარგმნისას?

— როგორც მოგეხსენებათ, პატარა ლექსის თარგმანიც არ არის იოლი საქმე, მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელეც კი ძნელად არ ითქმის, თუ მას თან სდევს შემოქმედებითი სიხარული. რუსთაველი თვითონვე გიმსუბუქებთ მძიმე ტვირთს. მაგრამ იყო უსიამოვნო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მეცნიერთან — სხვადასხვაგვარად იყო ახსნილი. მაგალითად, სიტყვა ხადუმი ზოგთან მოახლეა, ზოგთან— მსახური, ზოგთან — საჭურისი.

ლადო მესხიშვილის გახსენება

24 ნოემბერს 60 წელი შესრულდა ქართული სცენის დიდოსტატის, ქართული რეალისტური თეატრის თვალსაჩინო ფუძემდებლისა და წლების მანძილზე მისი დაუღალავი მოღვაწის ლადო მესხიშვილის გარდაცვალებიდან და ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა:

მე ცოცხალი ლადო მესხიშვილი არ მინახავს. მხოლოდ მისი გარდაცვალების, მისი დაკრძალვის მომსწრე და მონაწილე ვიყავი 1920 წლის სუსხიან ნოემბერში. თბილისისათვის უჩვეულო ნოემბერი იდგა იმ წელს. ძველში რომ ატანს, ისეთი ცივი ქარი ქროდა, მაგრამ ცუდ ტაროსს არ შეჰპუებია მადლიერი ქართველი ხალხი და უკანასკნელ გზაზე აცილებდა თავის სათაყვანებელ სცენის ჯადოქარს. ხალხმა ხელით მისაცვენა ძვირფასი ნეშტი დიდუბის პანთეონში და პატივით მიაბარა მშობლიურ მიწას. მას აქეთ სამოცმა წელმა განვლო, მაგრამ ეს სამგლოვიარო პროცესია კარგად დამახსოვდა. ხოლო თუ რამ გამახსენა ამჯერად ჩვენი თეატრალური კულტურის ეს დიდი მოამაგე, ამას ქვევით მოგახსენებთ:

ამას წინათ ოცდაათიანი წლების „კომუნისტის“ კომპლექტს ვათვალიერებდი და გაზეთის 1930 წლის 25 ნოემბრის ნომერში წავაწყდი ინფორმაციას ლადო მესხიშვილის გარდაცვალების მე-10 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. გაზეთი იუწყებოდა, რომ 23 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ელბაქიძის დამარზე, სკვერში საფუძველი ჩაეყარათ ძეგლისათვის, ხოლო 9 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაემართათ მისი ხსოვნის საღამო.

მე იმ ხანად უკვე „კომუნისტში“ ვმუშაობდი და გამახსენდა, რომ პირადად ორივე ამ ამბის მომსწრე და მონაწილე გახლდით.

მართლაც, საღამოს 6 საათზე სკვერში შეიკრიბნენ დიდი აქტიორის ნიჭის თაყვანისმცემლები, გაიმართა მიტინგი, რომელიც ცნობილმა რეჟისორმა აკაკი ფალავამ გახსნა და აუწყა დამსწრეთ მთავრობის გადაწყვეტილება ამ ადგილას ლადო მესხიშვილის ძეგლის აგების შესახებ. მესხიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე ილაპარაკა დაუვიწყარმა ბესო ეღენტმა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძეგლის აღმართვის ნავარაუდევ ადგილზე გრანიტის ლოდებიც კი ეწყო ამ მიტინგის დროს.

ხსოვნის საღამო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში კი უფრო ფართო იყო. იგი გახსნა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ფილიპე მახარაძემ. მან თქვა: ლადო მესხიშვილი მარტო დიდი ხელოვანი როდი იყო, იგი თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე გახლდათ, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა მშრომელ ხალხს და ხელს უწყობდა მასებში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას, მესხიშვილის ღვაწლის დაფასება კერ შეძლო - მეზობლებმა მთავრობამ (მართლაც, მის დაკრძალვაში მეწევიკური მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა), საბჭოთა ხელისუფლება კი ძეგლს უდგამს მას თბილისში და სახალხო არტისტის წოდებას ანიჭებს, რადგან ამ წოდების ღირსი ყველაზე უფრო ლადო მესხიშვილი იყოო.

საღამოზე დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს ქართული საბჭოთა თეატრის დიდმა რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა და ლადო მესხიშვილის შესანიშნავმა მოწაფეებმა, სახალხო არტისტებმა ნუცა ჩხეიძემ, ალექსანდრე იმედაშვილმა, იუზა ზარდალაშვილმა და ვასო ბალანჩივაძემ.

ასეთი იყო ეს ამბავი, რომლის შემდეგაც ნახევარმა საუკუნემ განვლო და არათუ ძეგლი დადგმულა, არამედ საფლავსაც კი ვეღარ მოძებნით დიდუბის პანთეონში.

განა ეს ეკადრება იმ ადამიანის ხსოვნასა და ღვაწლს, რომელმაც საკუთარი მხრებით ზიდა ათეული წლების მანძილზე ქართული თეატრის მძიმე ტვირთი?

ანტონ კელენჯერიძე.

ალიარება შინ და გარეთ

ახლახან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ კონცერტზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგა თბილისის 45-ე ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი — საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თამაზ გოგოტიშვილი, კონსულტანტი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნინო რამიშვილი).

ანსამბლი 1960 წელს ჩამოყალიბდა და თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე მრავალ საგულისხმო წარმატებას მიაღწია. მან ტრიუმფით შემოიარა ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქი, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნები — ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

გაერთიანება „ეკრანმა“ ამ ანსამბლზე გადაიღო ფერადი ფილმი „ცეკვავენ მამაკაცები“, რომელმაც საბავშვო ფილმების ფესტივალზე პირველი ადგილი და საპატიო პრიზი მოიპოვა.

1975 წელს „ბერლინის ტელევიზიის მიწვევით ანსამბლი ბერლინს ეწვია, სადაც „შტადტ პალასის“ დიდ საკონცერტო დარბაზში სამი კონცერტი გამართა. ბერლინის ტელევიზიამ გადაიღო ფილმი „ცეკვავენ საქართველოს ბავშვები“, რომელსაც ისევე დიდი წარმატება ჰქონდა, როგორც მათ კონცერტებს.

ანსამბლი რესპუბლიკური კონკურსების მრავალგზის ლაურეატია.

ამას წინათ ოპერის თეატრში გამართულ კონცერტზე ნორჩი მოცეკვავეები და მომღერლები მეტად საინტერესო პროგრამით წარსდგნენ თბილისელ მაყურებელთა წინაშე. ერთმანეთს ენაცვლებოდა მაღალი ოსტატობით შესრულებული ცეკვები „წყვილთა ფერხული“ და „ცერული“, „ხორუმი“ და „ვინტაური“, „ლაზური“ და „ჯეირანი“, „დავლური“ და „ლელო“. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა ქეთევან ბარამიძის, გოჩა ჭიჭინაძის, გია ელოშვილის, ირაკლი ქინქლაძის, ზაზა ჭელიძის და სხვა ნორჩი მოცეკვავეებისა და მომღერლების ხელოვნებით.

გ. პაპუაშვილი.

„ვეფხვურთი-80 და 81“

ყაბალი ყაბალი ყაბალი ყაბალი

1980 წლის 29 მაისს „კომუნისტმა“ გამოაცხადა კონკურსი, თუ ვინ უკეთ გასცემდა პასუხს 1980 წლის საფეხბურთო სეზონთან დაკავშირებით შედგენილ საანკეტო კითხვებს.

შეგახსენებთ ამ ანკეტას:

I. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას?

II. ვინ დაეუფლება ვერცხლის მედლებს?

III. ვინ დაისაკუთრებს ბრინჯაოს მედლებს?

IV. ვინ იქნება ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და რამდენ ბურთს გაიტანს?

V. ვინ გახდება სსრ კავშირის თასის მფლობელი და რა ანგარიშით დამთავრდება ფინალური მატჩი?

VI. ვინ გაიმარჯვებს ფეხბურთელთა მოსკოვის ოლიმპიურ ტურნირში.

1980 წლის საფეხბურთო სეზონში ამ კითხვებზე ზუსტი და კონკრეტული პასუხები ასეთი გამოდგა:

I. კიევის „დინამო“.

II. მოსკოვის „სპარტაკი“.

III. ლენინგრადის „ზენიტი“.

IV. ხ. ანდრეევი (დონის როსტოვის არმიელთა გუნდი), 20 გოლი.

V. დონეცკის „შახტიორი“ — 2:1.

VI. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

კონკურსთან დაკავშირებით რედაქციაში 9 საკონკურსო დღის მანძილზე შემოვიდა 4.068 წერილი. ანკეტის არათუ ყველა, არამედ 4 კითხვასაც კი ზუსტი და სრული პასუხი ვერავინ ვერ გასცა. 3-3 კითხვა ამოიცნო კონკურსის თორმეტმა მონაწილემ: რუსთაველმა კახა ბარდანაშვილმა, თბილისელებმა ალექსანდრე ბერიოზაშვილმა და ი. თარგამაძემ, ფოთელმა ლია ლუკავამ, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნოღას მკვიდრმა დოდო ხაბურზანიამ (ამ ხუთეულმა პირველ, მეორე და მეოთხე კითხვაზე გასცა ზუსტი პასუხი); თბილისელებმა ნონა არზოშაშვილმა, გიორგი ხუროშვილმა, ბათუმელმა ვაჟა ზარიძემ, წყნეთელმა მანანა ოძელაშვილმა, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიდგელას მცხოვრებმა დათო კაცაძემ (ამ ხუთეულმა პირველ, მეორე და მეხუთე კითხვაზე გასცა ზუსტი პასუხი); გურჯაანელმა ვალერი სეხნიაშვილმა (ზუსტი პასუხი გასცა პირველ, მეოთხე და მეექვსე კითხვაზე) და თბილისელმა ბადრი ხუციამ (ზუსტი პასუხი გასცა პირველ, მეხუთე და მეექვსე კითხვაზე). ჟიურიმ გამარჯვებულთა სიაში შეიყვანა კონკურსის კიდევ სამი მონაწილე: ფოთელი აბესალომ ტუღუში (ზუსტად უპასუხა პირველ და მეორე კითხვას, ხოლო მეორეს, მეოთხეს, მეხუთეს და მეექვსეს — მიახლოებით), წულუკიძელი გია გოდერიძე და ქარელელი ზაურ ჩუტკერაშვილი (ზუსტად უპასუხეს პირველ და მეორე კითხვას, ხოლო მიახლოებით —მეოთხეს და მეხუთეს).

ამრიგად, კონკურსის ჟიურიმ გამოავლინა 15 მონაწილე, რომლებსაც „კომუნისტის“ რედაქცია დაუჯილდოებს სპორტული ლიტერატურით, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენების ავტოგრაფებით. თხუთმეტივე გამარჯვებულს ვთხოვთ ჯილდოების მისაღებად გვეწვიონ 1981 წლის 19 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით დღის საათებში.

ტრადიციას არ ვდალატობთ და ვაცხადებთ ახალ კონკურსს — „ფეხბურთი-81“. ამჯერად საკონკურსო ანკეტა ასეთი იქნება:

I. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას?

II. ვინ გახდება სსრ კავშირის თასის მფლობელი, ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში და რა ანგარიშით დამთავრდება გადამწყვეტი მატჩი?

III. ვინ იქნება საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირი და რამდენ გოლს გაიტანს?

ანკეტის პასუხი გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, კონვერტზე წაწერეთ — „ფეხბურთი—81“. გამოგზავნილ ბარათებზე საფოსტო შტემპელით თარიღი აღნიშნული უნდა იყოს არა უგვიანეს 1981 წლის 15 იანვრისა.

კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ! გთხოვთ ანკეტის შევსებისას იყოთ კონკრეტული. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგვიადვილდება საკონკურსო მასალების შეჯამება. თუ პირველ კითხვას უპასუხებთ, უბრალოდ დაწერეთ: გუნდის სახელწოდება (ქალაქის მინიშნებით), რომელსაც გამარჯვებულად მიიჩნევთ; თუ მეორე კითხვას უპასუხებთ — თასის მფლობელი, ფინალში მისი მეტოქე და ანგარიში; თუ მესამეს უპასუხებთ — მხოლოდ და მხოლოდ ბომბარდირის ვინაობა და გოლების რაოდენობა.

ჟიური 1982 წლის 1 იანვრისათვის გამოავლენს გამარჯვებულებს და მათ პრიზებით დაჯილდოებს.

კონკურსის ჟიური.

„კომუნისტის“ საახალწლო ფოტოსტენდი

საახალწლო ფრიალამულია ყველგან— ქუჩებში, კლუბებში, ახალ ბინებში. თბილისის ყველაზე ახალაზრდა რაიონის ნორჩ ახალმოსახლეებს თოვლის პაპა ესტუმრა; აქვე თქვენ ხედავთ გლდანის ახალ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს; ეს ლამაზი ფიფქია თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე მარიკა გორგაძეა, ახალ წელს ულოცავს მეგობრებს.

ს. კილაძის („კომუნისტის“) და გ. ნახუცრიშვილის (საქინფორმი) ფოტო.

არც ერთი სიგარეტი — უმაწვილს!

ექიმის რჩევა

თუ თამბაქოს წევის მავნეობაზე ჩვეკა, უწინარეს ყოვლისა, თავიდან ეცადოთ ყმაწვილებს, ქალიშვილებსა და ჯაბუკებს, მათს ჯერ ჩამოუყალიბებელ ორგანიზმს განსაკუთრებით წამლავს თამბაქოს ბოლის შხამი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ, როგორც კვლევა გვიჩვენებს, ვაჟების 82,4 პროცენტი წევას იწყებს 18 წლამდე და აქედან 18,3 პროცენტი — 8-9 წლისა. გოგონები თამბაქოს 16-17 წლიდან ეტანებიან და ასეთნი 33,6 პროცენტს შეადგენენ. მედიცინა ადასტურებს: რაც უფრო ახალგაზრდაა ორგანიზმი, მით უფრო მეტ ვნებას აყენებს მას თამბაქო. შესუნთქული შხამების გავლენით ირღვევა ნივთიერებათა, კერძოდ, ცილების ცვლა, უარესდება შაქრის შეთვისება, რომელიც ესოდენ საჭიროა ქსოვილების, განსაკუთრებით კუნთების კვებისათვის, ირღვევა C ვიტამინის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილის ჯანმრთელობისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ თამბაქოს წევა, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაზე, რომელიც ახალგაზრდას ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოგრავული არა აქვს. მნიშვნელოვნად ქვეითდება კუნთების ძალა, სუსტდება გულის მოქმედება, კლებულობს ფილტვებში გავლისას სისხლის გაჯერება ჟანგბადით. მაგალითად, მწეველის სისხლში ჰემოგლობინის დაახლოებით 20 პროცენტი უკავშირდება არა ჟანგბადს, არამედ ნახშირბადის ჟანგს, რომელსაც თამბაქოს ბოლთან ერთად შეისუნთქავს. მისი შხამების ზემოქმედება იწვევს სწრაფ დაღლილობას, მადის მნიშვნელოვან დაქვეითებას, გულისრევას, გაღიზიანებას, უძილობას და ა. შ. ამით იწყება მწეველის „ბიოგრაფია“.

განვითარებად ორგანიზმზე თამბაქოს წევის უფრო მავნე ზეგავლენა იმით აიხსნება, რომ ამ ორგანიზმს ჯერ კიდევ სუსტი აქვს ადაპტაცია — ძნელად ეგუება შხამს, უჭირს მისი ნეიტრალიზაცია. ამას ისიც ემატება, რომ მოსწავლეები, რომლებიც ცდილობენ მშობლებს და მასწავლებლებს დაუმალონ ეს თავისი ჩვევა, ჩუმად, ნაჩქარევად ეწევიან და ინტენსიურად ისუნთქავენ კვამლს. თამბაქო და პაპიროსის ქაღალდი სწრაფად იწვის და ბოლში დიდძალი მავნე ნივთიერება იყრის თავს. მაგალითად, თამბაქოს ნელი წვის დროს ბოლში გადადის ნიკოტინის 20-მდე პროცენტი, ხოლო სწრაფი წვისას 40 პროცენტზე მეტი. იგივე შეიმჩნევა სიგარეტის ბოლომდე მოწევის დროს. ყმაწვილები კი სწორედ ასე ეწევიან.

თამბაქოს მწეველი ყმაწვილები საგრძნობლად ჩამორჩებიან არამწეველ თანატოლებს ფიზიკური განვითარების მხრივ. ისინი ხდებიან, ნაკლებად ღონიერნი და ამტანნი არიან. ეს განსაკუთრებული იგრძნობა სპორტში — ვარჯიშისა და შეჯიბრების დროს მათ უფრო უჩქარდებათ მაჯისცემა, სუნთქვა ეკვრებათ, გულს უჭირს დიდი დატვირთვების ატანა. სწორედ ამით აიხსნება, რომ მწეველ ყმაწვილთა შორის იშვიათია კარგი სპორტსმენი. მათთვის მიუწვდომელია ბევრი საინტერესო პროფესია.

ჩვენ მოსკოვის ორ სკოლაში შეგამოწმეთ მეშვიდე და მერვე კლასების მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. აღმოჩნდა, რომ იმ კლასებში, სადაც მეტი თამბაქოს მწეველი ბავშვი იყო, უფრო მეტნი იყვნენ ყმაწვილები, რომლებიც ცუდად სწავლობდნენ. მაგალითად, ბიჭუნებს შორის მწეველები შეადგენდნენ 35,1 პროცენტს, აქედან 26,4 პროცენტი ცუდად სწავლობდა. გოგონებს შორის მწეველი აღმოჩნდა 6,3 პროცენტი, აქედან მესამედი სწავლაში ჩამორჩებოდა. სმოლენსკში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ უპირატესად ის ბავშვები ეწევიან, რომლებიც ცუდად სწავლობენ: მწეველთა ნახევარი სწ